ეკონომიკური განვითარების,
საინვესტიციო პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების
კომისიის სხდომის

ოქმი #30

2023წ. 19 დეკემბერი 11.30 საათი ქ.თბილისი, თავისუფლების მოედანი #2

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

ა.ხუჯაძე, ლ.დავითაშვილი,
ნ.რუხაძე, მ.კაკაურიძე, გ.შარაშიძე

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე:

ნინო ბაგაშვილი - სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე

ლევან ჟორჟოლიანი - იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე

სხდომას თავმჯდომარეობდა:
კომისიის თავმჯდომარე ლ.არველაძე

სხდომის თავმჯდომარე ლ.არველაძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

კომისიის წევრთა მიერ მოწონებული იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

სხდომის დღის წესრიგი:

1. ქალაქი თბილისი, საქართველოს ერთიანობისთვის მებრძოლთა ქუჩა N63-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.19.20.004.032, ფართობი - 867 კვ.მ) მიმართებით,

გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის შესახებ

N12-032334891-03

2. “კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ნიკო მუსხელიშვილის ქუჩა N12-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.17.10.001.188, ფართობი - 1 518 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის შესახებ

N12-032334890-03

3. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ე. ბეჟანიშვილის ქუჩა N13-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.12.12.005.015, ფართობი - 896 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის შესახებ

N 12-03233208-03

4. შპს „იქსორი წერეთელზე 2“ -ის (ს/ნ 405408820) მიმართ მისამართებზე - ქ. თბილისი, ბათუმის ქ. N11, ქ. თბილისი, ა. წერეთლის გამზირი N19-21 (საკადასტრო კოდი: 01.13.07.008.003) და ქ. თბილისი, ა. წერეთლის გამზირი N23-25 (საკადასტრო კოდი: 01.13.07.008.002) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისთვის მხარდამჭერი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის შესახებ

N12-032334844-03

1. მოისმინეს:

სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილემ ნინო ბაგაშვილმა სხდომაზე წარმოადგინა „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, საქართველოს ერთიანობისთვის მებრძოლთა ქუჩა N63-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.19.20.004.032, ფართობი - 867 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების შეთანხმების თაობაზე“ პროექტი.

განმცხადებლის მიერ, ხელშემწყობი ღონისძიების სახით მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ზღვრული მაჩვენებლის გადამეტება კ-2=4.4-დან კ-2=5.4-მდე, რაც ითვალისწინებს საპროექტო მიწის ნაკვეთზე 11 სართულიანი შენობა - ნაგებობის განთავსებას.

ასევე, მოთხოვნილია, დამატებულ მოცულობაზე, სიმაღლის ნაწილში კორექტირებული პროექტის შეთანხმებისას არ იქნას გათვალისწინებული კანონით განსაზღვრული რეგულაციები.

იმის გათვალისწინებით, რომ კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია/ჩანაცვლება არის მუნიციპალიტეტისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანა, მიზანშეწონილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო ანგარიშზე შესაბამისი ფასის ჩარიცხვის სანაცვლოდ, ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთზე მოხდეს ხელშემწყობი ღონისძიებების განსაზღვრა.

დაინტერესებულმა პირმა ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებისათვის მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებულ ავარიულ შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით შესაბამისი ფასის - 266,887.50 ლარის გადარიცხვა განახორციელოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო ანგარიშზე რის შემდეგაც განკარგულების შესრულების შემთხვევაში მოსალოდნელია ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ზრდა - 266,887.50 ლარით.

თავი შეიკავა: მ.კაკაურიძე, გ.შარაშიძე

2. მოისმინეს:

წარმოდგენილი იქნა, აგრეთვე, „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ნიკო მუსხელიშვილის ქუჩა N12-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.17.10.001.188, ფართობი - 1 518 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე“ .

დაინტერესებულმა პირმა N01.17.10.001.188 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტების სანაცვლოდ (კ-2=3.3), გამოხატა მზაობა მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებულ ავარიულ შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, შესაბამისი ფასის გადახდაზე.

დაინტერესებული პირის მიერ, ხელშემწყობი ღონისძიების სახით მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ზღვრული მაჩვენებლის გადამეტება კ-2=2.5-დან კ-2=3.3-მდე, რაც ითვალისწინებს საპროექტო მიწის ნაკვეთზე 9 სართულიანი შენობა - ნაგებობის განთავსებას.

ასევე, მოთხოვნილია, დამატებულ მოცულობაზე, სიმაღლის ნაწილში კორექტირებული პროექტის შეთანხმებისას არ იქნას გათვალისწინებული კანონით განსაზღვრული რეგულაციები.

იმის გათვალისწინებით, რომ კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია/ჩანაცვლება არის მუნიციპალიტეტისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანა, მიზანშეწონილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო ანგარიშზე შესაბამისი ფასის ჩარიცხვის სანაცვლოდ, ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთზე მოხდეს ხელშემწყობი ღონისძიებების განსაზღვრა.

დაინტერესებულმა პირმა ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებისათვის მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებულ ავარიულ შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით შესაბამისი ფასის - 322,255.04 ლარის გადარიცხვა განახორციელოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო ანგარიშზე რის შემდეგაც განკარგულების შესრულების შემთხვევაში მოსალოდნელია ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ზრდა - 322,255.04 ლარით.

თავი შეიკავა: მ.კაკაურიძე, გ.შარაშიძე

3. მოისმინეს:

ნინო ბაგაშვილმა კომისიის წევრებს გააცნო კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ე. ბეჟანიშვილის ქუჩა N13-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.12.12.005.015, ფართობი - 896 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე.

ხელშემწყობი ღონისძიების ფარგლებში მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ზღვრული მაჩვენებლის გადამეტება კ-2 = 2.5-დან კ-2 = 6.1-მდე. არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა მოხდეს გადამეტებულ ფართზე სიმაღლის განმსაზღვრელი რეგულაციების გათვალისწინების გარეშე. დაინტერესებულმა პირმა ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებისათვის მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებულ ავარიულ შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით შესაბამისი ფასის - 1,476,792.00 ლარის გადარიცხვა განახორციელოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო ანგარიშზე. დაინტერესებულმა პირმა გათვალისწინებული თანხის ჩარიცხვა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო ანგარიშზე განახორციელოს მშენებლობის ნებართვის გაცემამდე. თანხის გადახდის ვადა არ უნდა ცდებოდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დამტკიცებული ხელშემწყობი ღონისძიებების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებიდან არაუგვიანეს 6 თვის ვადას.

თავი შეიკავა: მ.კაკაურიძე, გ.შარაშიძე

4. მოისმინეს:

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ ლევან ჟორჟოლიანმა წარმოადგინა შპს „იქსორი წერეთელზე 2“ -ის (ს/ნ 405408820) მიმართ მისამართებზე - ქ. თბილისი, ბათუმის ქ. N11, ქ. თბილისი, ა. წერეთლის გამზირი N19-21 (საკადასტრო კოდი: 01.13.07.008.003) და ქ. თბილისი, ა. წერეთლის გამზირი N23-25 (საკადასტრო კოდი: 01.13.07.008.002) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისთვის მხარდამჭერი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე.

მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, შპს „იქსორი წერეთელზე 2“ -ის (ს/ნ 405408820) მიმართ მისამართებზე - ქ. თბილისი, ბათუმის ქ. N11, ქ. თბილისი, ა. წერეთლის გამზირი N19-21 (საკადასტრო კოდი: 01.13.07.008.003) და ქ. თბილისი, ა. წერეთლის გამზირი N23-25 (საკადასტრო კოდი: 01.13.07.008.002) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისთვის შემდეგი ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებასთან დაკავშირებით, რომლებიც განისაზღვრა შემდეგი სახით: მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი (კ-2) განისაზღვროს 3.5 -ის ნაცვლად 19.0-ით, მიწის ნაკვეთის განაშენიანების კოეფიციენტი (კ-1)-ის განისაზღვროს 0.7-ის ნაცვლად 0,8 -ით, არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის ეტაპზე არ იქნას გათვალისწინებული სიმაღლის განმსაზღვრელი რეგულაციები.

სხდომა წარიმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში.

კითხვები დასვეს: ლ.არველაძე, ნ.რუხაძემ, ლ.დავითაშვილმა.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილემ ნინო ბაგაშვილმა ყველა შეკითხვას ამომწურავი პასუხი გასცა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიამ განხილული 4 საკითხი შეაფასა დადებითად და მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხების საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანა.

ლ.არველაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე ლ.არველაძე